ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 4-3/23-ვ/121 22.02. 2021წ.

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე
დადგენილების მიღების ვადის
გაგრძელების შესახებ

საქართველოს კანონის
"საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს
125-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისათვის, საქმეში არსებული გარემოებები მოითხოვენ დამატებით გამოკვლევასა და შესწავლას

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2020 წლის 27 ნოემბრის №000989 მითითების (შემოწმების აქტი №000989 შედგენილი 2020 წლის 22 დეკემბერს) საფუძველზე **შ.პ.ს. "დინო 2007"-ის და ს.ს "მამული"-ს** მიმართ დაწყებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, დადგენილების მიღების ვადა გაგრძელებულ იქნეს 2 თვით.

2. **შ.პ.ს." დინო 2007"-ის და ს.ს "მამული"-ს** მიმართ დადგენილების მიღებისთვის გაგრძელებული ორთვიანი ვადა აითვალოს 2021 წლის 22 თებერვლიდან 2021 წლის 22 აპრილამდე.

3. დაევალოს მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას, სამართალდამღვევს სათანადო წესით აცნობოს დადგენილების მიღების ვადის გაგრძელების თაობაზე.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი

№ 4-1/50159-21
"12" 02 2021 წ

დადგენილება №000980
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

12.02.2021წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა, განვიხილე 2020 წლის 27 ნოემბრის №000980 მითითება და 2020 წლის 14 დეკემბრის №000980 შემოწმების აქტი შედგენილი ს.ს. „მამული"-ს (ს.ნ. №201951780; მის: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, დიღმის მასივი, III კვ., მიქელაძის ქუჩა №9) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო დარღვევისათვის და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა №9ბ, საკ. კოდი №01.13.03.023.045-ზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, ს.ს. „მამული"-ს მიერ მოწყობილია ლითონის მსუბუქი კონსტრუქციის მოაჯირები, რომელთა ნაწილიც გაცდენილია საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2020 წლის 27 ნოემბერს შედგენილ იქნა №000980 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 10 (ათი) კალენდარული დღის ვადა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან დემონტაჟის განსახორციელებლად, უსაფრთხოების წესების დაცვით.

2020 წლის 14 დეკემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, შედგა №000980 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2021 წლის 28 იანვარს, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა ს.ს. „მამული"-ს დირექტორი შალვა მამულაშვილი (პირადი №01024010798), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება და განაცხადა, რომ მითითებაში დაფიქსირებული სამშენებლო სამუშაოები განხორციელებულია ს.ს. „მამული"-ს მის მიერ 1998-1999 წლებში. მისივე თქმით, აპირებენ სამშენებლო სამართალდარღვევის აღმოფხვრას დემონტაჟის სახით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის, 2021 წლის 12 თებერვალს, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ ს.ს. „მამული"-ს მიერ შესრულებულია მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 27 ნოემბრის №000980 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, განხორციელდა უნებართვოდ მოწყობილი ლითონის მსუბუქი კონსტრუქციის მოაჯირების დემონტაჟი, რომელთა ნაწილიც სცდებოდა საკადასტრო საზღვრებს და გადადიოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ს.ს. „მამული"-ს მიერ, გამოსწორებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის ქუჩა №9ბ, საკ. კოდი №01.13.03.023.045-ზე, განხორციელდა უნებართვოდ მოწყობილი ლითონის მსუბუქი კონსტრუქციის მოაჯირების დემონტაჟი, რომელთა ნაწილიც სცდებოდა საკადასტრო საზღვრებს და გადადიოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს მთავრობის 2020 წლის 11 მაისის №299 დადგენილებით; საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება ს.ს. „მამული"-ს მიმართ;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

მამუკა ჯაფარიძე